

შრომითი პირობები ობსერვატორიის სამეცნიერო თანამდებობებისათვის

მუხლი 1. ობსერვატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

1. სამუშაო მოიცავს:

ა) ობსერვატორიის მართვის ორგანოს - სამეცნიერო საბჭოს წევრობას და მონაწილეობის მიღებას სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტული მიმართულებების და სტრატეგიის განსაზღვრაში;

ბ) შესაბამისი განყოფილების მიერ მიმდინარე ან დაგეგმილ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში უშუალო მონაწილეობას და ხელმძღვანელობას, კვლევის თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით.

გ) სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისას აფილაციად მითითებას „საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია“/“E. Kharadze Georgian National Astrophysical Observatory“.

2. კონკურსის წესით შერჩეულ კანდიდატს, პირადი განცხადების საფუძველზე, შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე უვადოდ, 5 წელიწადში ერთხელ ატესტაციის პირობით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ნიშნავს ობსერვატორიის დირექტორი.

3. შრომის ანაზღაურება განისაზღვრება ობსერვატორიის საშტატო განრიგით.

4. სამუშაო ადგილი არის თბილისი და დაბა აბასთუმანი (მთა ყანობილი).

5. სხვა შრომითი პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, კვლევითი საქმიანობისთვის ხელშეუშლელად.

6. შრომითი ურთიერთობისას დასაქმებული ისარგებლებს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს საქართველოს შრომის კოდექსით და ობსერვატორიის შინაგანაწესით.

## მუხლი 2. ობსერვატორიის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

### 1. სამუშაო მოიცავს:

ა) შესაბამისი განყოფილებაში მიმდინარე ან დაგეგმილ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში უშუალო მონაწილეობას, ასევე განყოფილების ხელმძღვანელის დავალებით/შეთანხმებით ქვემომართულების ხელმძღვანელობას, კვლევის თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით;

ბ) სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისას აფილაციად მითითებას „საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია“/“E. Kharadze Georgian National Astrophysical Observatory“.

2. კონკურსის წესით შერჩეულ კანდიდატს, პირადი განცხადების საფუძველზე, შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე 2 წლის ვადით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ნიშნავს ობსერვატორიის დირექტორი.
3. შრომის ანაზღაურება განისაზღვრება ობსერვატორიის საშტატო განრიგით.
4. სამუშაო ადგილი არის თბილისი და დაბა აბასთუმანი (მთა ყანობილი).
5. სხვა შრომითი პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, კვლევითი საქმიანობისთვის ხელშეუშლელად.
6. შრომითი ურთიერთობისას დასაქმებული ისარგებლებს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს საქართველოს შრომის კოდექსით და ობსერვატორიის შინაგანაწესით.

### მუხლი 3. ობსერვატორიის მეცნიერ თანამშრომელი

#### 1. სამუშაო მოიცავს:

ა) შესაბამის განყოფილებაში მიმდინარე ან დაგეგმილ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში უშუალო მონაწილეობას, კვლევის თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით;

ბ) სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისას აფილაციად მითითებას „საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია“/“E. Kharadze Georgian National Astrophysical Observatory“.

2. კონკურსის წესით შერჩეულ კანდიდატს, პირადი განცხადების საფუძველზე, შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე 2 წლის ვადით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ნიშნავს ობსერვატორიის დირექტორი.

3. შრომის ანაზღაურება განისაზღვრება ობსერვატორიის საშტატო განრიგით.

4. სამუშაო ადგილი არის თბილისი და დაბა აბასთუმანი (მთა ყანობილი).

5. სხვა შრომითი პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, კვლევითი საქმიანობისთვის ხელშეუშლელად.

6. შრომითი ურთიერთობისას დასაქმებული ისარგებლებს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს საქართველოს შრომის კოდექსით და ობსერვატორიის შინაგანაწესით.